

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 10

ქ.ვანი თავისუფლების N65

8 მაისი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გიგა გოგიბერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

დღის წესრიგი

1. ქ.ვანში სოლომონ მე -II ქუჩაზე მდებარე რაგბის სტადიონისთვის ბუჟან ხურციძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხს: /გ. გოგიბერიძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის გაცნობის შესახებ.

მომხს: /გ. გოგიბერიძე/

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, კომისიის წევრებს გააცნო 2018 წლის 4 მაისის N107/27 ინიცირების შესახებ, ქ.ვანში სოლომონ მე -II ქუჩაზე მდებარე რაგბის სტადიონისთვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების თაობაზე და განმარტა, რომ ბატონი ბეჟანი ეწეოდა აქტიურ სპორტულ ცხოვრებას, მას დიდი წვლილი მიუძღვის სარაგბო კლუბის ჩამოყალიბებაში, რომლის ერთერთი დამფუძნებელი გახდათ.

2018 წლის 4 მაისს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა მოსახლეობის ინიციატივა ქ. ვანში სოლომონ მე -II ქუჩაზე მდებარე რაგბის სტადიონისთვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ: გიგა გოგობერიძე (კომისიის თავმჯდომარე),გია ხარაბაძე (კომისიის წევრი),დავით ხარძეიშვილი (კომისიის წევრი),თენგიზ დვალიშვილი (საკრებულოს წევრი), ტარიელ ბარამიძე (საკრებულოს წევრი), გიორგი ივანიაძე (საკრებულოს თავმჯდომარი მოადგილე)

ასევე შეხვედრას ესწრებოდა ვანის სარაგბო კლუბ „აიეტი“-ს თანამშრომლები: ვლადიმერ როხვაძე (კლუბის დირექტორი), ვლადიმერ თვალაბეიშვილი, თორნიკე მალააკელიძე, ბაკურ ბარამიძე, ზერო ხურციძე, ნოდარ ბელთაძე.

სამუშაო შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მოსახლეობის წარმომადგენლები. (მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი თან ერთვის ოქმი N 1)

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების საფუძველზე კომისიამ წარმოადგინა შესაბამისი დასკვნა დასამტკიცებლად, კომისიამ კენჭი უყარა წარმოდგენილ დასკვნას, რომელიც გადაწყდა დადებიდათ. (დასკვნა თან ერთვის)

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის ,ეკონომიკურ საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიის დასკვნა ქ. ვანში სოლომონ მე -II ქუჩაზე მდებარე რაგბის სტადიონისთვის ბეჟან ხურციძის სახელის მინიჭების თაობაზე.
2. დასკვნა წარედგინოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შემდგომი რეაგირებისათვის.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ააიპ საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაციიდან 2018 წლის 25 აპრილის N 209G 18 წერილი ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის შესახებ და მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური (ძაღვები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის თაობაზე.წესის მიზანია ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი ცხოველების (ძაღვები, კატები და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციის მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნა.

გადაწყვიტეს:

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესი მიღებულ იქნას ცნობად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე